# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 206. ხუთშაბათი, 1 აპრილი 1904 წ. გაზეთის № 2453

## 25 ფრანკი

გიუ-დე-მოპასანისა.

სასაცილო რამ იყო პავილი თავის ობობასავით მაღალის ფეხებით, მოკლე ტანით, გრძელის ხელებითა და წოწოლა თავით, რომლის კენწეროსაც ცეცხლისავით წითელი თმა ამშვენებდა. პავილი მასხარა იყო, სოფლის ნამდვილი მასხარა, რომელიც მხოლოდ იმისათვის იყო გაჩენილი, რომ ემასხარავნა, ყველა დაეცინა და ეთამაშნა სულ უბრალო და ამასთან ისეთი როლები, რომლებსაც უბრალო და წერა-კითხვის ძლივს მცოდნე გლეხები თამაშობენ ხოლმე. დიაღ, პავილი თითქოს თვით ღმერთმა იმისათვის გააჩინა, რომ გასართობი მიეცა სოფლელ გლეხებისათვის, რომელთაც არა აქვთ არც თეატრი და არც სხვა რაიმე გასართობი.

პავილი მართლაცა და ართობდა იმათ. გლეხები დუქანში რიგ-რიგობით ჰპატიჟობდნენ იმას და სცდილობდნენ რაც შეიძლებოდა დიდხანს გაეჩერებინათ. პავილიც სვამდა, იცინოდა, მასხარაობდა, ყველას დასცინოდა, არავის არ აჯავრებდა და მაყურებლებს სიცილით ჰხოცავდა. იმის მშვენიერ სიცილს ქალებიც კი ვერ უმაგრდებოდნენ, თუმცა თვითონ მეტად უშნო შეხედულებისა იყო. პავილი თავის ოხუნჯობით ქალებს რომელისამე ღობის უკან, ან სადმე თხრილში, ანაც გომში იტყუებდა...

ჰხვევდა და ისეთის ოხუნჯობითა და სასაცილო სახის გამომეტყველებით როშავდა ყოველგვარ სისულელეს, რომ ქალები სიცილით იხოცებოდნენ და იმის მკლავებიდან განთავისუფლებას ეცდილობდნენ. შემდეგ პავილი თავის კატუნს იწყობდა, თითქოს თავის თავის ჩამოხრჩობა უნდაო, და ისეთ ნაირ ხტუნვასა და გრეჭვას მოჰყვებოდა ხოლმე, რომ ქალები თავს ვეღარ იმაგრებდნენ და სიცილისაგან ცრემლებს იწმენდავდნენ. აქ პავილი ხელსაყრელ დროს პოულობდა და ოხუნჯობითა და სიცილით ქალებს მიწაზედ აქცევდა და თავის სურვილს ისრულებდა. არავინ არ ეწინააღმდეგებოდა და ის ქალებიც კი ნებდებოდნენ, რომელნიც პავილის მტრები იყვნენ. სასაცილო რამ იყო პავილი!

ერთხელ მკათათვის გასულს რუვილის მახლობლად პავილი მემამულეს ლე-გარივოს მომკალად დაუდგა. სამის კვირის განმავლობაში დღე და ღამ ართობდა მუშებს––კაცებსა და ქალებს. დღე პავილი მუშაობდა. თავზე ეხურა ჩალის ძველი ქუდი, რომელიც იმის წითელ თმას ჰფარავდა. თავის გრძელისა და გამხდარის ხელებით მომკულ ყანას აგროვებდა და ძნებად ჰკრავდა. დრო გამოშვებით შედგებოდა და ისეთს სასაცილო რასმეს იზამდა ხოლმე, რომ მუშები სიცილით იხოცებოდნენ. ღამე ქვემძრომივით მიცოცავდა ბანზე, სადაც მუშა ქალებს ეძინათ, აქეთ-იქით თავის გრძელ ხელებს აფოთიერებდა და ქალებ შორის საშინელს ყვირილსა და ერთ ალიაქოთს ასტეხავდა ხოლმე. გამოღვიძებული ქა-



„ქარ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ მუზეი (25 წლის იუბილეის გამო)



„ქარ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგად.“ წიგნთ-საცავი (25 წლის იუბილეის გამო)

მაიმუნისავით დათხებული მირბოდა და საშინელ სიცილს იწვევდა.

მუშები მკის გათავებას დღესასწაულობდნენ. მტვრიან გზაზე ექვს რუხ ცხენს მიჰქონდა ფერად ჩითებით მორთული



პორტ-არტური. სამხედრო კლუბი (საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ურემი; ურემს მთვრალი მუშები სიმღერით, ყვირილითა და სიცილით უკან მისდევდნენ. დამთვრალ ქალებით გარშემორტყმული პავილი მთვრალ სატირის ოინებს აკეთებდა და თავის უცნაურ შეხედულებით საშინლად აკვირვებდა ახლომახლო სოფლებიდან შეკრებილ პირდაუბანელ გლეხებსა და ბიჭ-ბუჭებს, რომელნიც მატუნავ მას არას პირდაღებულნი უყურებდნენ. უცებ, როცა ლე-გარივოს ბაღის კარებს მიუახლოვდნენ, ხელებ გაშლილსა და მხტუნავ პავილის ფეხი გაუსხლტა, ურემს ეტაკა, გადაკოტრიალდა, ურმის თვალს მიეჯახა და გზაზე გაიშხლართა. ამხანაგები მისცვივდნენ. პავილი არ ინძრეოდა, შიშისაგან გაფითრებულიყო და თავისი გრძელი ხელ-ფეხი მტვერში გაეშალა. როცა იმის მარჯვენა ფეხს შეეხნენ, საშინელი ყვირილი ასტეხა. ზეზეააყენეს, მაგრამ ისევ წაიქცა.

— მგონი ფეხი მოიტეხა,—სთქვა ვიდამაც.

მართლაც და პავილიმ ფეხი მოიტეხა. ლე-გარივომ ფეხ მოტეხილი პავილი მაგიდაზე დააწვინა და რუვილში ექიმისათვის კაცი გაგზავნა. ექიმი ნახევარ საათის შემდეგ მოვიდა. ლე-გარივო ძალიან გულ-კეთილი კაცი აღმოჩნდა და განაცხადა, პავილის მორჩენისათვის საჭირო ფულის გადახდას მე ვკისრულობო.

ექიმმა პავილი თავის ეტლით წაიყვანა და საავადმყოფოში ერთ კირით გალესილს ოთახში დააწვინა. იქ ფეხი გაუსწორეს. როცა საწყალმა მასხარამ გაიგო, რომ არ მოკვდება, რომ მოარჩენენ, ასმევენ, აჭმევენ და გაანებივრებენ, გიჟური სიხარული იგრძნო, განუწყვეტლივ იღიმებოდა და ყველას თავის დამპალ კბილებს უჩვენებდა. როცა ერთ-ერთი მოწყალების და მივიდოდა პავილის საწოლთან, პავილი მხიარულ და სასაცილო ღრეჭით ეგებებოდა, თვალს უშვრებოდა, იღმიჭებოდა და თავის გრძელსა და მოძრავ ცხვირს ათამაშებდა. იმის გვერდით მწოლარე ავადმყოფები ტკივილის მიუხედავად სიცილს ვერ იმაგრებდნენ. მოწყალების უფროსი და ხშირად მოდიოდა პავილისთან და თავს ირთობდა. პავილიც იმისთვის ველაზე სასაცილო ოინებსა და მოულოდნელ ოხუნჯობას იგონებდა. პავილი ბუნებითვე არტისტი იყო და რათა მოწყალების დისათვის თავი მოეწონებინა, თავს ღვთისნიერ კაცად ისახავდა და ღმერთზე ისეთის სერიოზულის სახის გამომეტყველებით ლაპარაკობდა, რომ იტყოდით: ამ კაცმა კარგად იცის, რომ ზოგჯერ ხუმრობა უადგილოაო. ერთხელ პავილიმ გალობაც კი დაიწყო და ამით მოწყალების და საშინლად გაახარა. ამის შემდეგ და უფრო

ბის კრებულიც კი მოუტანა. პავილი საწოლზე წამოჯდებოდა ხოლმე და წვრილის ხმით უფალს, წმიდა მარიამსა და სული წმიდას ქება დიდებას უძღვნიდა. უფროსი და კი საწოლის ბოლოს იდგა და ლოტბარივით თითს იქნევდა.

როცა პავილი იმდენად მოკეთდა, რომ სიარული შესძლო, უფროსმა დამ ურჩია, ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო, საავადმყოფოს ეკლესიაში ეგალობნა, წირვის დროს მღვდელს მოეხმარებოდა და იმავე დროს მნათის მოვალეობაც აღესრულებინა. პავილი დასთანხმდა და ერთის თვის განმავლობაში ეკლესიაში თეთრ სტიქარში გამოწყობილი კოჭლობით დადიოდა, და თავის ისეთნაირის ქნევით გალობდა ფსალმუნს, რომ მლოცველთა რიცხვი თანდათან მატულობდა და ხალხიც სამრევლო ეკლესიას თავს ანებებდა და საღამოს ლოცვაზე საავადმყოფოს ეკლესიაში მოდიოდა. მაგრამ, რადგან ამ ქვეყანაზე ყოველივეს დასასრული აქვს, პავილიც, როცა სრულიად მოკეთდა, საავადმყოფოდან დაითხოვეს. უფროსმა დამ მადლობის ნიშნად პავილის ოცდა ხუთი ფრანკი აჩუქა.

პავილიმ ეს ფული ჯიბეში ჩაიდო და გავიდა თუ არა ქუჩაში, დაიწყო ფიქრი: სად წავიდე ეხლაო. სოფელში დავბრუნდე? დავბრუნდები, მაგრამ მხოლოდ მაშინ როცა გადავკრავ ერთ ჭიქა კონიაკს, რომელიც კარგა ხანია გემოთი არ მინახავსო. პავილი ქალაქს წელიწადში ერთხელ ან ორჯელ თუ ჩამოდიოდა და ერთ ამგვარ ჩამოსვლის შემდეგ თავიდან აღარ ჰშორდებოდა ერთი ქეიფის მოგონება. დუქანში შევიდა, ერთი ჭიქა კონიაკი მოითხოვა, დასცალა და მეორეც მოითხოვა. შეეხო თუ არა იმის ენასა და მთელს პირს მაგარი და მწვავე არაყი, რომელმაც იმის პირში რაღაც ალერსი და სიცხე გამოიწვია, პავილი მიხვდა, რომ მთელ ბოთლს დასცლიდა და ფასიც ჰკითხა. როცა გაიგო, რომ ბოთლი სამი ფრანკი ჰღირს, მისცა და კონიაკით სავსე ბოთლს გვერდით მოუჯდა. დროგამოშვებითა და წყნარად სვავდა, რათა კიდევ შეერჩინა სხვა სიამოვნებისათვის საჭირო გრძნობა და გონება. როცა იქამდის მივიდა, რომ სახლების ბანებიდან საბოლოებმა თავის კვრა დაუწყეს, ბოთლი აიღო, ბარბაცით გამოვიდა და საროსკიპოს საძებნელად წავიდა. მალე ვერ იპოვა; მეეტლემ, რომელსაც საროსკიპოსაკენ



პორტ-არტურის ნავთსადგური (საკუთარის კორესპონდენტისაგან)

გზის ჩვენება სთხოვა, ვერაფერი უთხრა, ფოსტალიონმა ნამდვილი გზა ვერ ასწავლა, მეფურნემ გალანძღა და ლორი დაუძახა და ბოლოს გულკეთილმა ჯარის-კაცმა მიაცილა და ურჩია: „დედოფალი“ მოითხოვეო. შუადღე იქნებოდა, როცა პავილიმ საროსკიპო სახლის კარები დაარაკუნა. მოახლემ კარი გაუღო და იმის გარედ გაგდება უნდოდა, მაგრამ პავილიმ მასხარულ ღრეჭით გააცინა, სამი ფრანკი აჩვენა და ... მეორე სართულში



პორტ-არტურის ნავთსადგურის გასავალი, რომელიც იაპონელებს მეორედ უნდოდათ შეეკრათ
(საკუთარის კორესპონდენტისაგან)



პორტ-არტური. „ოქროს გორა“ (საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ავიდნენ. ოთახში რომ შევიდა, „დედოფალი„ მოითხოვა და იმის მოსვლის მოლოდინში ბოთლი ერთხელ კიდევ მიიყუდა. ბოლოს კარი გაიღო და ოთახში უშველებელის ტანისა, სქელი და წითელი ქალი შემოვიდა. ქალმა სკამზე გაშხლართულ და დამთვრალ პავლის სწრაფისა და გამოცდილის თვალით გადაჰხედა და ჰკითხა:

— როგორ არა გრცხვენიან, რა დროს მოსვლაა?

პავლიმ წაიბუტბუტა:

— რა ამბავია, დედოფალო?

— ისა, რომ ქალს სადილის დროს აწუხებ.

პავლის სიცილი მოუნდა.

— მამაცებმა დრო არ იციან.

— დრო არც ლოთებმა იციან, შე ბებერო ქოთანო, შენა!

პავლი გაჯავრდა:

— ჯერ ერთი, ლოთი არა ვარ და, მეორე—არც მთვრალი ვარ.

— მთვრალი არა ხარ?

— არა, არა ვარ!

— არა ხარ! შე უბედურო, შენა, ფეხზედაც რომ ვერ დამდგარხარ!—ქალი გაცოფებულის სიბრაზით უყურებდა პავლის და ჰფიქრობდა თავის მეგობრებზე, რომელნიც სადილით სტკბებოდნენ.

— ჰა, ჰა, ჰა! მაშ, აბა, მიყურე როგორ დავუვლი პოლკას!—და თავის ფეხების სიმაგრის დასამტკიცებლად შეხტა საწოლზე და ზედ ორი დიდი და ტალახიანი ნაფეხური აღნიშნა.

— უი, შე ლორო, შენა!—დაუყვირა ქალმა, ეცა და ისეთის ღონით ჰკრა მუცელში მუშტი, რომ პავლიმ თავი ვეღარ შეიმაგრა, გადმოკოტრიალდა, დაეცა კამოდს, გადმოაგდო თასი და წყლით სავსე სურა და იქიდან საშინელის ბღავილით იატაკზე ბრახვანი მოიღო.

საშინელმა ხმაურობამა და ყვირილმა ერთი ალიაქოთი ასტეხა. სასტუმროს პატრონი, იმისი ცოლი, მოსამსახურენი და ყველა ქალები ოთახში შემოცვივდნენ. სახლის პატრონმა იატაკზე გაშხლართული პავლი ააყენა და იმის ფეხზე დაყენება უნდოდა, მაგრამ საწყალი ისევ იატაკზე წაიქცა და დაიწყო ყვირილი:

— ფეხი მომტყდა, მეორე ფეხი, მთელი ფეხი მომტყდა! დიაღ, მთელი ფეხი მომტყდა!

ეს მართალი იყო. ექიმის მოსაყვანად გაიქცნენ. ისევ ის ექიმი მოვიდა, რომელმაც პავლი ლეგარივოს მამულიდან საავადმყოფოში გაჰგზავნა.

— ისევ თქვენა ხართ?!—გაოცდა ექიმი.

— დიაღ, ბატონო ექიმო...

— დღეს რაღა დაგემართათ?

— მეორე ფეხი მომტეხეს, ბატონო ექიმო.




პორტ-არტური. პუშკინის ქუჩა (საკუთარის კორესპონდენტისაგან)

— ვინ მოგტეხა, ბებერო?

— აგე იმ გომბიომ.

ყველა გარს შემოეხვია,—თმებ გაშლილი და ნახევრად ტიტველა ქლები, აშფოთებული სახლის პატრონი და იმისი გაჯავრებული ცოლი.

— ამ საქმეს შეუძლიან უსიამოვნება მოგაყენოთ; ხომ იცით, რომ ქალაქის მთავრობა, ცოტა არ იყოს, ცერად გიყურებთ.



პორტ-არტური. შიდა რეიდი. (საკუთარის კორესპონდენტისაგან)



პორტ-არტური. შესავალიდამ გემების სადგური (საკუთარის კორესპონდენტისაგან)

გირჩევთ, საქმე ისე მოაწყოთ, რომ ალიაქოთი არ ასტყდეს.

— თქვენ რას მირჩევთ?

— ისევ ისა სჯობია, ეს კაცი საავადმყოფოში გაჰგზავნეთ და ამის მოსარჩენი ფულიც გადაიხადეთ.

— ალიაქოთის ატეხას ისევ ეგა სჯობია, — მიუგო სახლის პატრონმა.

ნახევარ საათის შემდეგ მთვრალი და მკვნესარი პავილი ისევ იმ საავადმყოფოს ოთახში მივიდა, საიდანაც მხოლოდ ერთის საათის წინად გამოვიდა. უფროსი და ძალიან შეშფოთდა და შესწუხდა, რადგან პავილი უყვარდა და ილიმებოდა, რადგან იმის უკანვე დაბრუნება უხაროდა.

— რა დაგემართათ, ჩემო მეგობარო?

— მეორე ფეხი მომტყდა, დაო.

— მაშ ისევ ურემზე ახვედით, თქვე ბებერო ხუმარავ?

შერცხვენილმა და დაღვრემილმა პავილმა წაიბუტბუტა:

— არა... არა... ეხლა კი... არა... ჩემი ბრალი არ არი... იმ საძაგელმა მომტეხა ფეხი...

უფროსმა დამ სხვა პასუხი ვერას გზით ვერ მიიღო და არას დროს არ გაიგო, რომ ახალ უბედურების მიზეზი იმისი ოცდ ხუთი ფრანკი იყო.

მ. ა.

## ამ დროის სურათები



ნადირობა



მსხვერპლნი

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.